

## ოსები საქართველოში

მდგომარეობა 2008 წლის ომის შემდეგ

გიორგი სორდია

**ECMI-ის სამუშაო მოხსენება # 45**

სექტემბერი 2009

**ECMI-ის სამუშაო მოხსენება # 45**  
**უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი (ECMI)**  
**დირექტორი: დოქტორი ტოვ ჰ. მალოი**

**საავტორო უფლებები 2009 წლისთვის ეკუთვნის უმცირესობათა საკითხების**  
**ევროპულ ცენტრს (ECMI)**  
**გამოქვეყნებულია 2009 წლის სექტემბერში უმცირესობათა საკითხების**  
**ევროპული ცენტრის მიერ (ECMI)**

**ISSN: 1435-9812**

## შინაარსი

შესავალი.....	4
საქართველოში ოსების დემოგრაფიული მდგომარეობა და განსახლების არეალი.....	7
ინტეგრაცია ქართულ საზოგადოებაში.....	12
მიგრაციული პროცესები ოსურ თემში და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის გავლენა ოსურ-ქართულ ურთიერთობებზე.....	16
უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის (ECMI) ქმედება.....	19
დასკვნა.....	21
<b>დანართი 1</b> ოსური მოსახლეობის აღწერის ცხრილი.....	23
<b>დანართი 2</b> ოსების რაოდენობა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით.....	44
<b>დანართი 3</b> საქართველოში ოსების განსახლების რუკა.....	45

## შესავალი

2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად ძირეულად შეიცვალა სამხრეთ ოსეთის დემოგრაფიული მდგომარეობა. მას შემდეგ რაც საქართველოს ხელისუფლებამ დაკარგა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული კონტროლი დიდი და პატარა ლიახვის ხეობებზე და ახალგორის რაიონზე ამ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის დიდი ნაწილი, ხოლო დიდი და პატარა ლიახვის ხეობების შემთხვევაში კი მთლიანად იძულებული შეიქმნა დაეტოვებინა საკუთარი სახლ-კარი. ცვილებები განიცადა ასევე კონფლიქტის ზონის მომიჯნავე რაიონების დემოგრაფიულმა სტრუქტურამ. სექტემბრის თვის მდგომარეობით კონფლიქტის ზონიდან (მათ შორის შიდა ქართლის რაიონებიდან) დევნილთა საერთო რაოდენობამ 127 ათას ადამიანს გადააჭარბა.<sup>1</sup> რუსეთსა და საქართველოს შორის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების ხელმოწერის და რეგიონიდან რუსული ჯარების გასვლის შემდეგ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციული საზღვრის გარედან იძულებით ადგილნაცვალი პირების დიდი ნაწილი დაბრუნდა სახლებში, თუმცა დიდი და პატარა ლიახვის ხეობების მთლიანი ქართული მოსახლეობა და ახალგორის რაიონში მცხოვრები რამდენიმე ათასი ქართველი კვლავ გამოდევნილია, საქართველოს ლტოვლივთა და განსახლების სამინისტრომ მათ დევნილის სტატუსი მიანიჭა და განათავსა სპეციალურად მათთვის შექმნილ 38 ახალ კოტეჯური ტიპის დასახლებაში. ლტოვილთა და განსახლების სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით ამდროისათვის აგვისტოს ომის შედეგად დევნილთა რაოდენობა (გარდა ზემო აფხაზეთიდან დევნილებისა) აღწევს 24,729 ადამიანს.<sup>2</sup>

აგვისტოს ომის შემდეგ სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებით, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთიდან მუდმივად ვრცელდებოდა ინფორმაციები საქართველოში მცხოვრები ოსების შევიწროების, დაჩაგვრის თუ მათი საცხოვრებელი ადგილებიდან აყრის შესახებ, რაც შემდგომში არაერთი პოლიტიკური სპეკულაციის საგანი

<sup>1</sup> <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/page?page=49e48d2e6>.

<sup>2</sup> [http://www.mra.gov.ge/files/3\\_427\\_426374\\_devnilebi-Geo.pdf](http://www.mra.gov.ge/files/3_427_426374_devnilebi-Geo.pdf).

გამხდარა. მრავალი ურთიერთსაპირისპირო ინფორმაციის გავრცელებამ უმცირესობათა საკითხების ევროპულ ცენტრს (ECMI) გადააწყვეტინა საგანგებოდ შეესწავლა ეს საკითხი, და ასევე ჩაეტარებინა კვლევა, რომელიც პასუხს გასცემდა ისეთ საინტერესო და აქტუალურ საკითხებს, როგორცაა აგვისტოს ომის გავლენა ოსურ-ქართულ ურთიერთობებზე, ის თუ რამდენად შეიცვალა დემოგრაფიული ბალანსი საქართველოს ოსებით დასახლებულ რაიონებში და თუ როგორი დემოგრაფიული და მიგრაციული ტენდენციები ჭარბობს თანამედროვე პოლიტიკური პროცესების ფონზე და ზოგადად რა გავლენა მოახდინა აგვისტოს ომმა საქართველოში მცხოვრები ოსების მდგომარეობაზე. კვლევის საწყის ეტაპზე განზრახული გეგმონდა შეგვესწავლა ინტერეთნიკური ურთიერთობები კონფლიქტის ზონის მომიჯნავე შიდა ქართლის სხვადასხვა რაიონებში, თუმცა მუშაობის პროცესში კვლევის გეოგრაფიული არეალი გავზარდეთ და მოვიცვიოთ საქართველოს ყველა რეგიონი, სადაც კი უკანასკნელი 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით ოსური ეროვნების მოსახლეობა ცხოვრობს. რამაც, გარდა ზემოაღნიშნული მიზნებისა შესაძლებლობა მოგვცა დაგვედგინა თანამედროვე ეტაპზე ოსების დაახლოებითი სტატისტიკური რაოდენობა სოფლების მიხედვით და შეგვედარებინა ის 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებისათვის. საქართველოში ოსების განსახლების ეთნიკური რუკა, რომელიც სწორედ ამ ბოლო მონაცემებს ეყრდნობა შეგიძლიათ იხილოთ დანართის სახით (იხ. დანართი 3). კვლევის პროცესში ასევე შესაძლებლობა გექონდა შეგვეფასებინა საქართველოში ოსების ინტეგრაციის დონე ისეთი კრიტერიუმების მიხედვით, როგორცაა ქართული ენის ფლობა, მშობლიური ენის ფლობა, თვითიდენტიფიკაცია, გვარების დაბოლოებები (ოსური თუ რუსული) და ასე შემდეგ. ეს და სხვა ინფორმაცია სტრუქტურირებული სახით თავმოყრილია სპეციალურ ცხრილში, რომელიც დანართის სახით ახლავს მოცემულ კვლევას (იხ. დანართი 1). ნაშრომში ძირითადი აქცენტი კეთდება თანამედროვე ეტაპზე საქართველოში ოსი მოსახლეობის მდგომარეობაზე და შეგნებურად არ უღრმავდებათ ისტორიულ საკითხებს ოსებთან დაკავშირებით.<sup>3</sup>

<sup>3</sup> ამ თემასთან დაკავშირებით იხილეთ: ზ. ჭიჭინაძე, ოსების ჩამოსახლება ქართლში და ქართველების ამაგი მათზე. ისტორიული მიმოხილვა, “ხელოვნება” თბილისი 1990; ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა, “შეცნეობა”, თბილისი 1996; ა. თოთაძე, ოსები

კვლევა განხორციელდა 2008 წლის ნოემბრიდან 2009 წლის ივნისამდე. კვლევის შედეგები მთლიანად ეყრდნობა საველე გასვლების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციას. ასეთი სახის გასვლები განხორციელდა ოსებით დასახლებული ყველა რეგიონში, მათ შორის წმინდა ოსურ სოფლებში, შერეულ სოფლებში (ქართულ-ოსური, ქართულ-ოსურ-აზერბაიჯანული) და მათ მომიჯნავე ქართულ და აზერბაიჯანულ სოფლებში, სულ მოცულ იქნა 46 სოფელი, კერძოდ: ქვედა შავშვები, წითელუბანი, დიდი ხურვალეთი, თედოწმინდა, ვარიანი, ალაიანი, საქადაგიანო, გამდლისწყარო, ქვემო რენე, ყარაფილა, ნაწრეტი, კარალეთი, ტყვიავი, ქერე, ბროწლეთი, ერგნეთი, ქვემო ნიქოზი, ზემო ნიქოზი, ყინწვისი, ზღუდერი, ელბაქიანი, ტახტისძირი, დვანი, თვაურები, ხვითი, გორაკა, ვაკე, პანტიანი (შიდა ქართლის რეგიონი); ფინხოვანი, არგოხი, ჯუგაანი, წიწიკაანთსერი, ყიტაანი, არეშფერანი, ფონა (კახეთის რეგიონი); კოდისწყარო, ქვემო შუახევი, ზემო შუახევი, წიწამურა, ქარქუშაანი, ახალი ბურღული, ძველი ბურღული, ლამოვანი, კობი და ოქროყანა (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი); დიდი მიტარბი (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი)

კვლევის დროს ინდივიდუალურად სულ გამოკითხულ იქნა 250-მდე ადანიამი, ასევე ჩატარებულ იქნა ხუთი დისკუსია ფოკუს ჯგუფებში, კერძოდ სოფლებში არეშფერანი, ფინხოვანი, წითელუბანი, ელბაქიანი და ზემო შუახევი. იმისათვის რომ განგვესაზღვრა საველე მუშაობის არეალი, კვლევის საწყის ეტაპზე საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტისაგან მოვიპოვეთ შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები საქართველოში ოსების განსახლების და მათი რიცხოვნობის შესახებ. ამ მონაცემებზე დაყრდნობით შერჩეულ იქნა სამიზნე სოფლები სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით: სამიზნე სოფლები მოიცავდა სუფთა ოსურ, შერეულ ოსურ-ქართულ, შერეულ ოსურ-აზერბაიჯანულ, სუფთა ქართულ და სუფთა აზერბაიჯანულ

---

საქართველოში, მითი და რეალობა, “უნივერსალი” თბილისი 2006; გ. თოგოშვილი, ვახუშტი ბაგრატიონი ოსების და ოსეთის შესახებ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტი, “მეცნიერება” თბილისი 1977; გ. სოსიაშვილი, გერმანელი მოგზაურები ოსების შესახებ, “უნივერსალი” თბილისი 2007; როლანდ ტოპჩიშვილი, Грузино-Осетинские Этноисторические Очерки, Институт Истории и Этнологии им. И Джавахишвили, Тбилиси 2006; Гаглойти Ю. Аланы и вопросы этногенеза осетин, “Мецниереба”, Тбилиси 1966; Цховребова Замира Дмитриевна. Топонимия Южной Осетии в письменных источниках, Мецниереба, Тбилиси 1979.

სოფლებს. ინფორმატორები სოფლებიდან შერჩეულ იქნენ შემთხვევითი შერჩევის წესით, თითოეული სოფლიდან სხვადასხვა ასაკობრივი და გენდერული ჯგუფის მინიმურ ხუთი ადამიანი.

## საქართველოში ოსების დემოგრაფიული მდგომარეობა და განსახლების არეალი

ოსები საქართველოში ტრადიციულად ერთ-ერთ ყველაზე მრავალრიცხოვან ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენდნენ, უკანასკნელი საბჭოთა აღწერის მიხედვით, რომელიც 1989 წელს ჩატარდა ოსების რაოდენობა აღწევდა 164,055 ადამიანს, ხოლო ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გარეთ კი 98,823 ადამიანს. ეს ციფრი მნიშვნელოვნად შემცირდა 1990-იან წლებში მომხდარი ეთნიკური კონფლიქტის შედეგად, როდესაც განხორციელდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრები ოსების იძულებითი გასახლება, ან მათთვის ისეთი პირობების შექმნა, რამაც საბოლოო ჯამში მათ მიერ საკუთარი სახლ-კარის დატოვება და რუსეთში, ძირითადად კი ჩრდილოეთ ოსეთში გადასახლება გამოიწვია. უკვე 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით ოსების რაოდენობა საქართველოში, გარდა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიისა შეადგენდა 38,028 ადამიანს,<sup>4</sup> რომლებიც განსახლებული არიან საქართველოს შვიდი რეგიონის (შიდა ქართლი, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, მცხეთა-მთიანეთი, ქვემო ქართლი, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი) 132 სოფელში.<sup>5</sup> თუმცა ოსების ძირითადი კონცენტრაცია მოქცეულია შიდა ქართლის, კახეთის და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში. გარდა სოფლებისა ოსები საკმაოდ რაოდენობით ცხოვრობენ ასევე საქართველოს სხვადასხვა დიდ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში.<sup>6</sup> ჩვენი შეფასებით ოსური მოსახლეობის რიცხოვნობა 2002 წლის შემდეგაც მნიშვნელოვნად შემცირებულია, ჩვენს მიერ ოსურ სოფლებში მოსახლეობის გამოკითხვის

<sup>4</sup> ამ ციფრში იგულისხმება იმდროისათვის საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებადი დიდი და პატარა ლიხვის სოფლების, რომელიც გაერთიანებული იყო გორის რაიონში და ახალგორის რაიონის მონაცემები, რომელიც გაერთიანებული იყო მცხეთა-მთიანეთის რეგიონში.

<sup>5</sup> ოსური სოფლების სრული სია, მოსახლეობის რაოდენობის, წარმოშობის, ინტეგრაციის დონის და სხვა კრიტერიუმების მიხედვით იხილეთ დანართი 1.

<sup>6</sup> რაიონული ცენტრების და ქალაქების სია ოსური მოსახლეობის რაოდენობის მითითებით იხილეთ დანართი 2.

და მათგან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დღეის მდგომარეობით სოფლად ოსური მოსახლეობა არ უნდა აღემატებოდეს 10,000 ადამიანს,<sup>7</sup> მაშინ როდესაც 2002 წლის აღწერის მონაცემებით მათი რაოდენობა 22,000-ია. სამწუხაროდ ანალოგიური გამოთვლის გაკეთება ქალაქში მაცხოვრებელ ოსებთან დაკავშირებით გაგვიჭირდა, რაც იმით აიხსნება, რომ სოფლებისაგან განსხვავებით, სადაც ოსები კომპაქტურ დასახლებებს ქმნიან ქალაქებში ისინი გაფანტულად არიან წარმოდგენილები, შესაბამისად ქალაქებთან მიმართებაში მხოლოდ 2002 წლის ოფიციალური აღწერის მონაცემებს თუ დავეყრდნობით, რომლის მიხედვითაც ოსების რაოდენობა შეადგენს 16,000 ადამიანს. ჩვენი ვარაუდით სოფლის მოსახლეობისაგან განსხვავებით ეს ციფრი 2002 წლის შემდეგ მნიშვნელოვნად არ უნდა შეცვლილიყო, რადგან ერთის მხრივ ქალაქის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა უკეთესია სოფელთან შედარებით და შესაბამისად მოსახლეობას ნაკლები მოტივაცია აქვს საკუთარი სახლ-კარის გაყიდვის და წასვლის, ხოლო მეორეს მხრივ კი სოფლიდან წამოსული ოსური მოსახლეობის ნაწილი დასახლდა სწორედ უახლოეს ქალაქში, რითაც მოხდა ქალაქებიდან 2002-2009 წლების მონაკვეთში რუსეთში წასული ოსური მოსახლეობის ჩანაცვლება. შესაბამისად 2002 წლისათვის ქალაქად მაცხოვრებელი ოსი მოსახლეობის რაოდენობას თუ მივუმატებთ ჩვენს მიერ გამოთვლილ სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობას მივიღებთ 26,000 ადამიანს.<sup>8</sup>

### ტაბულა 1: ოსები საქართველოში

1989 საბჭოთა აღწერა	2002 აღწერა	ECMI-ის შეფასება 2009
164,055	38,028	26,000 <sup>9</sup>

<sup>7</sup> ოსურ სოფლებში მოსახლეობის რაოდენობა 2002 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით და ჩვენს მიერ იგივე სოფლებში 2009 წლისათვის მოსახლეობის რაოდენობის შედარება იხილეთ დანართი 1.

<sup>8</sup> ამ ციფრში არ იგულისხმება დიდი და პატარა ლიახვის და ახალგორის რაიონის ოსური მოსახლეობა.

<sup>9</sup> ამ ციფრის გამოთვლისას ჩვენ ვეყრდნობით 2002 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგებს ქალაქების და რაიონული ცენტრების შესახებ და ჩვენს საკუთარ მონაცემებს სოფლის მოსახლეობის შესახებ.



შიდა ქართლის რეგიონში ოსები განსახლებული არიან გორის, კასპის, ქარელის და ხაშურის რაიონების 59 სოფელში, თუმცა ჩვენი შეფასებით და მოსახლეობისაგან მიღებული ინფორმაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დღეისათვის ოსები მნიშვნელოვანი რაოდენობით (60% და ზევით) ცხოვრობენ 17 სოფელში, კერძოდ: ქვემო შავშვები, წითელუბანი, დიდი ხურვალეთი, ნაწრეტი (გორის რაიონი), გამდლისწყარო, ზადიანთკარი, ზემო რენე, ნიგოზა, ქვემო რენე, ყარაფილა, თვაურები, ხვითი, გორაკა, ვაკე, პანტიანი (კასპის რაიონი), ელბაქიანი, ყინწვისი (ქარელის რაიონი).

საველე მუშაობის დროს გამოიკვეთა, რომ 2002 წლის მოსახლეობის სტატისტიკური აღწერის მონაცემები ზოგიერთ შემთხვევაში არ ასახავს რეალობას და სხვადასხვა სოფლებში ოსების რაოდენობა შემცირებულად არის წარმოდგენილი, მაგალითად სოფლებში წითელუბანი, ნაწრეტი, ყინწვისი, ელბაქიანი, გამდლისწყარო და სხვა, თუმცა ამ შემთხვევაში საქმე არ უნდა გვქონდეს შეგნებულ, წინასწარგანზრახულ ქმედებასთან. შიდა ქართლში მცხოვრები ოსების აბსოლუტურ უმრავლესობას გვარები ქართული დაბოლოებითა აქვთ, რაც შესაძლოა გამხდარიყო აღწერის ანკეტაში მათი ქართველებად ჩაწერის მიზეზი. ამავე დროს, კულტურული ასიმილაციის გამო შიდა ქართლის ოსური მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის საკუთარი თავის ქართველებად წარმოდგენა პრობლემურ საკითხს არ წარმოადგენს. კვლევის დროს აღმოვაჩინეთ ბევრი ისევე შემთხვევა, როდესაც გარკვეული სიფრთხილის გამო ოსებმა ნებაყოფლობით მიუთითეს ეროვნების გრაფაში ქართველი.

კახეთის რეგიონში ოსები სახლობენ 37 სოფელში, თუმცა ჩვენმა საველე კვლევამ ოსური მოსახლეობის მნიშვნელოვანი კონცენტრაცია (60% და მეტი) გამოკვეთა 12 სოფელში, კერძოდ: ჯუგაანი (თელავის რაიონი), არგოხი, ფინხოვანი, ქორეთი (ახმეტის რაიონი), ყიტაანი (გურჯაანის რაიონი), არეშფერანი, ზემო ბოლქვი, ფონა, დონა, ქვემო ხეჩილი, ზემო ხეჩილი (ლაგოდეხის რაიონი), წიწიკაანთსერი (ყვარლის რაიონი). ტრადიციულად ოსური მოსახლეობა მნიშვნელოვანწილად იყო წარმოდგენილი პანკისის ხეობის სხვადასხვა სოფლებში, კერძოდ ოსურ

სოფლებად ითვლებოდა და კვლავაც ოსურ სოფლებად მოიხსენიება ხოლმე პანკისის ხეობაში მდებარე შემდეგი სოფლები: ქვემო ხალაწანი, წინუბანი, დუმასტური, კუწახტა, თუმცა 1990-იან წლებში ოსებმა ეს სოფლები თითქმის მთლიანად დატოვეს, ოსების თითო-ორი ოჯახია მხოლოდ დარჩენილი სოფელ კუწახტაში.

სოფლები ოსური მოსახლეობის რაოდენობით შიდა ქართლი და კახეთი გამოირჩევა, სადაც ძირითადად ჭარბობს სოფლები საშუალო რაოდენობით 200-250 ადამიანი, მაშინ როდესაც სხვა რეგიონებში სოფლები ოსური მოსახლეობით არ აღემატება ხოლმე 50-150 ადამიანს. ტრადიციულად საქართველოში ოსური მოსახლეობის რაოდენობით გამოირჩეოდა ბორჯომის რაიონიც, სადაც 1989 წლის აღწერის მიხედვით თერთმეტი წმინდა ოსური სოფელი იყო, დღეს კი აღნიშნულ რაიონში ოსების რამდენიმე ოჯახი შემორჩა მხოლოდ ერთ სოფელში, დიდი მიტარბი, და ასევე დაბა ბაკურიანსა (344 ადამიანი) და ქალაქ ბორჯომში (215 ადამიანი).<sup>10</sup> კიდევ ერთი ოსების კომპაქტურად დასახლების რეგიონი არის მცხეთა-მთიანეთი, სადაც 2002 წლის აღწერის მონაცემებით ოსები სახლობენ 26 სოფელში, თუმცა მათ შორის ყველაზე დიდი სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობა არ აღემატება 150 ადამიანს. ისევე როგორც შიდა ქართლში, ოფიციალური აღწერის მონაცემები მთლად ზუსტად ვერ ასახავს დემოგრაფიულ სურათს მცხეთა-მთიანეთის ზოგიერთ სოფელში, განსაკუთრებით კი დუშეთის რაიონის ოსურ სოფლებში. 2002 წლის აღწერის მონაცემებით დუშეთის რაიონის გარკვეული სოფლები სანახევროდ ოსურია, მაშინ როდესაც ჩვენი შეფასებით უმეტესობა ამ სოფლებისა მთლიანად, ან მეტწილად ოსურია. ეს შეეხება სოფლებს კოდისწყარო, ზემო შუახევი, ქვემო შუახევი, ქვიტკირისწყარო და წიწამურა, რომლებიც საკმაოდ მოზრდილ ოსურ კომპაქტურად დასახლებულ ჯგუფს ქმნიან სოფლებისა, და ასევე, კიდევ ერთი, სამი სოფლისაგან შემდგარი ოსური ჯგუფი სოფლებისა: ქარქუშაანი, ახალი ბურღული და ძველი ბურღული. ამასთანავე, ყაზბეგის რაიონში კი ოსური სოფლების უმეტესობა მთლიანად დაცარიელებულია, მაგალითად თრუსის ხეობის სოფლების

<sup>10</sup> მონაცემები ეყრდნობა სტატისტიკის დეპარტამენტის 2002 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგებს.

მონახულებისას ჩვენ აღმოვაჩინეთ მხოლოდ ერთადერთი მოხუცი ქალბატონი (სოფელ ოქროყანაში), მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი კი გადავიდა ჩრდილოეთ ოსეთში 1990-ებსა და 2005 წლის დასაწისში. შესაბამისად თრუსოს ხეობის ყველა სოფელი დღესდღეობის მთლიანად მიტოვებულია.

2002 წლის აღწერის მონაცემები მნიშვნელოვნად არის ასევე შეცვლილი ქვემო ქართლის ოსურ დასახლებებში, კერძოდ ოსები წარმოდგენილები იყვნენ თეთრი წყაროს ხუთ სოფელში – ალექსეევკა, არხოტი, ჭინჭრიანი, გუდარეხი და ვაკე, თუმცა შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ უკანასკნელ წლებში აღნიშნული სოფლების ოსურმა მოსახლეობამ მთლიანად დატოვა რაიონი, მათი სახლების ნაწილი შეისყიდა სახელმწიფომ სვანეთიდან და აჭარიდან გადმოსახლებული ეკოლოგიური მიგრანტებისათვის, ნაწილი კი შესყიდულ იქნა კერძო მოქალაქეებისაგან. თუმცა ოსები ქვემო ქართლში ჯერ კიდევ არიან დარჩენილები უმნიშვნელო რაოდენობით ურბანულ დასახლებებში, კერძოდ 61 ადამიანი ცხოვრობს ქალაქ თეთრი წყაროში.<sup>11</sup> მსგავსი ტენდენცია, ანუ ოსებით დასახლებული სოფლების ტრადიციული დემოგრაფიული სურათის შეცვლა შეიმჩნევა სხვა რაიონებშიც, მაგალითად სოფელ წითელუბანში, სადაც დაახლოებით ერთი წლის წინ მთავრობამ სახლები შეისყიდა და დაასახლა დეპორტირებული მესხების ხუთი ოჯახი, აღნიშნულ სოფელში 1990-იანი წლების ბოლოს დასახლებულ იქნენ ასევე ეკოლოგიური მიგრანტები აჭარიდან. განსაკუთრებით იმატა დევნილების, ლტოლვილების და მიგრანტების ოსურ სოფლებში ჩასახლებების ტენდენციამ კახეთის სოფლებში, მაგალითად ახმეტის რაიონის სოფელ ფიჩხოვანში ერთი წლის წინ ოსებისაგან შესყიდულ იქნა თერთმეტი სახლი აჭარელი მიგრანტებისათვის, ხოლო სოფელ არგოხში კი თექვსმეტი სახლი სვანი მიგრანტებისათვის. როგორც ადგილობრივი მოსახლეობა აცხადებს ასეთი ჩასახლებები იგეგმება ასევე სხვა სოფლებშიც.

<sup>11</sup> მონაცემები ეყრდნობა სტატისტიკის დეპარტამენტის 2002 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგებს.

## ინტეგრაცია ქართულ საზოგადოებაში

საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული ოსები ტრადიციულად ქართულ საზოგადოებაში ყველაზე ინტეგრირებულ ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენდნენ. თუ ინტეგრაციის გამსაზღვრელ კრიტერიუმებად მივიჩნევთ ქართული ენის ფლობას, ურთიერთობების სიხშირეს ქართველებთან, შერეული ოჯახების შექმნის ტრადიციას ქართველებთან მაშინ თამამად შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ინტეგრაციის დონე თანაბრად მაღალი იყო როგორც ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ ოსებში. 1990-იან წლების დასაწყისში განხორციელებული კონფლიქტის შედეგად გაუცხოების ფაქტორმა იმატა ყოფილი სამხეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე მცხოვრებ ოსებსა და ქართველებს შორის, იკლო ყოველდღიურმა ურთიერთობებმა, ქართული ენა კი თანდათანობით ჩანაცვლდა რუსულით, თუმცა საქართველოს სხვა რეგიონებში ეთნოსთაშორის ურთიერთობებს, 1990-იანებში მიუხედავად ოსების მნიშვნელოვანი გადინებისა და მასიური შევიწროებისა (იხილეთ ქვემოთ) დიდი ცვლილებები არ განუცდია. ინტეგრაციის დონე ზოგიერთ რაიონში იმდენად მაღალია, რომ საქმე გვაქვს ლინგვისტურ და ეთნიკურ ასიმილაციასთანაც. თუმცა ამ კუთხით განსხვავებული სურათი გვხვდება რაიონების და სოფლების მიხედვით.

ინტეგრაციის და გარკვეულ შემთხვევებში ასიმილაციის მაღალი დონე გვხვდება ოსების ყველაზე დიდი კონცენტრაციის რეგიონში - შიდა ქართლში, რაც სავარაუდოდ გამოწვეულია ქართულ მოსახლეობასთან მაქსიმალურ სიმჭიდროვეში ცხოვრებით. ოსური თვითმყოფადობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი ოსური ენის ფლობა შეიმჩნევა მხოლოდ ხანშიშესულ ადამიანებში, რომლებიც თანაბრად სრულყოფილად ფლობენ ორივე, ქართულ და ოსურ ენებს. ახალგაზრდა თაობაც უმეტეს შემთხვევებში ფლობს მშობლიურ ენას, ერთმანეთში საკომუნიკაციოდ კი უპირატესობას ქართულს ანიჭებენ. თუმცა ოდნავი სხვაობა მაინც შესამჩნევია სხვადასხვა სოფლების მიხედვით. ოსური ენა

შედარებით უკეთ არის შემორჩენილი კასპის რაიონის ჩრდილოეთით, ახალგორის რაიონის ოსურ სოფლებთან მოსახლურ სოფლებში, (პანტიანი, ვაკე, გორაკა), ასევე გორის რაიონის ძირძველ ოსურ სოფლებში (წითელუბანი, ზადიანთკარი, რენე). ოსური ენა საკმაოდ კარგად არის ასევე შემორჩენილი ქარელის რაიონის ოსურ სოფლებში, განსაკუთრებით სოფელ ელბაქიანში, რომელმაც რთულად მისასვლელი გზების და იზოლირებული მდებარეობის გამო შედარებით შეინარჩუნა ოსური კულტურული ტრადიციები. აღნიშნული სოფელი იმითაც არის აღსანიშნავი, რომ წარმოადგენს ქართველების ოსურ კულტურულ გარემოში ასიმილაციის ერთ-ერთ იშვიათ მაგალითს, კერძოდ სოფლის მოსახლეობა (უმეტესად გვარად ელბაქიძეები), რომელიც წარმოშობით არის რაჭიდან, სოფელ წერადან მე-19 საუკუნის შუახანებში ჩამოსახლდნენ ქარელის რაიონში, სადაც ოსური მოსახლეობის გარემოცვაში მოხვედრის შედეგად მოხდა მათი ისტორიული ქართული იდენტობა ოსურით შეცვლა.<sup>12</sup>

მთელ რიგ სოფლებში მიუხედავად ოსური იდენტობის ნიშნების სრულიად გაქრობისა, აღსანიშნავია, რომ ოსური წარმოშობის შესახებ ინფორმაცია ოსურ სოფლებში ჯერ კიდევ შენარჩუნებულია. ოსებად ხდება მათი აღქმა ასევე მეზობლად მცხოვრები ქართველების, თუ სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა მხრიდან,<sup>13</sup> თუმცა არსებული ინტეგრაციული პროცესების კვლავაც გაგარძელების შემთხვევაში შიდა ქართლის ოსურმა მოსახლეობამ რამდენიმე თაობის შემდეგ ადვილი მოსალოდნელია, რომ მთლიანად დაკარგოს თვითმყოფადი ოსური იდენტობა. გარდა ოსური ენის დაკარგვის აშკარა ტენდენციებისა თვალში საცემია ასევე ოსური გვარების ქართულით შეცვლის პროცესი, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში დაიწყო და განსაკუთრებით გაძლიერდა 1990-იანი წლების დასაწყისში. თუ საბჭოთა პერიოდში ეს პროცესი ძირითადად ნებაყოფლობით ხასიათს

<sup>12</sup> ინფორმაცია ამის შესახებ დადასტურებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის გიორგი მელიქიშვილის მიერ სპეციალური მოკვლევის შედეგად გაცემულ ცნობაში, რომელიც მომზადდა ქ. გორის მკვიდრის ყაზბეგ ელბაქიძის მოთხოვნის საფუძველზე, ცნობა დათარიღებულია 1991 წლის 15 ივლისით.

<sup>13</sup> შიდა ქართლში კიდევ ერთი ეთნიკური ჯგუფი, რომელიც კომპაქტურად და დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი არიან აზერბაიჯანელები, მათი განსახლების სოფლებია: თედოწმინდა, ლევიტანა (გორის რაიონი), საქადაგიანო, ხიდისყური, ახალსოფელი, კალოუბანი, ფერმა, ჩანგილარი (კასპის რაიონი).

ატარებდა, 1990-იანებში ნაციონალისტური პოლიტიკის შედეგად ოსური გვარების ქართულით შეცვლამ იძულების ფორმაც მიიღო. დღეის მდგომარეობით შიდა ქართლის ყველა რაიონში მცხოვრები ოსების აბსოლუტური უმრავლესობა ატარებს ქართული დაბოლოების გვარებს (-შვილი/-ძე/-ური), თუმცა არის იშვიათი გამონაკლისებიც, კერძოდ ოსური გვარები რუსული დაბოლოებით (-ოვ/-ოვა) გვხვდება სოფლებში წითელუბანი, გამდლისწყარო, ზადიანთკარი, ყინწვისი, ახალი ხურვალეთი, პატარა ხურვალეთი, საქადაგიანო, თუმცა მცირე რაოდენობით. ეს ძირითადად ის მოსახლეობაა, რომელთაც რაღაც მიზეზების გამო არ მოისურვეს გვარის შეცვლა და ასევე, შედარებით ახალჩამოსახლებულები (1980-იანი წლების), რომლებიც გადმოსახლდნენ სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქიდან და არ განუცდიათ ასიმილაცია ქართულ კულტურულ გარემოში.

ოსების ინტეგრაციის დონესთან მიმართებაში ოდნავ განსხვავებული ვითარებაა საქართველოს სხვა რეგიონებში, მაგალითად ყაზბეგის რეგიონში მცხოვრებ ოსებს გაცილებით უკეთ აქვთ შენარჩუნებული ოსური თვითმყოფადობა, რაც გამოიხატება ოსური ენის ფლობაში, მათ შორის ახალგაზრდების მიერ და ოსური გვარების შენარჩუნებაში. უფრო მეტიც, ზოგიერთ სოფელში ქართული ენის ფლობის დონეც კი დაბალია. მსგავსი ვითარებაა ბორჯომის რაიონის ოსურ სოფელ დიდ მიტარბშიც, სადაც ოსური ენა კარგად არის შემონახული, თუმცა ყაზბეგის რაიონისაგან განსხვავებით გვარები ბორჯომის ოსურ მოსახლეობასაც გაქართველებული აქვს. მიზეზი ასეთი სხვაობისა შიდა ქართლის ოსურ მოსახლეობასთან შესაძლებელია იყოს დასახელებულ რეგიონებში ოსური სოფლების იზოლირებულ მდებარეობაში და ქართულ მოსახლეობასთან ნაკლები კონტაქტებით.

კახეთის რეგიონში ოსების ეთნო-ლინგვისტური ინტეგრაცია/ასიმილაცია განსხვავებულად მიმდინარეობს სხვადასხვა რაიონების მიხედვით. ამ მხრივ მსგავსი სიტუაციაა ახმეტის, თელავის, ყვარლის და გურჯაანის რაიონებში, სადაც ოსების დიდმა ნაწილმა საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული

განიცადა კულტურული და ლინგვისტური გაქართველება. შიდა ქართლის მსგავსად აქაც ქართული ენა თანდათანობით ანაცვლებს ოსურს, ოსური გვარებიც მხოლოდ გარკვეულ სოფლებშია შემორჩენილი, ისიც უმნიშვნელო რაოდენობით, კერძოდ თელავის რაიონის სოფელ ჯუგაანში და ყვარლის რაიონის სოფელ წიწიკაანთსერში. აღნიშნულისაგან რადიკალურად განსხვავებულ მდგომარეობას ვაწყდებით ლაგოდეხის რაიონის ოსურ სოფლებში, სადაც ოსური ეთნიკური იდენტობა და თვითმყოფადობა სხვა დასახლებებთან შედარებით მაქსიმალურად კარგად არის შენარჩუნებული, კერძოდ საქმე ეხება ლაგოდეხის რაიონის ექვს ოსურ სოფელს (ოსური მოსახლეობა თითოეულ მათგანში აღემატება 80%-ს) - არეშფერანი, ზემო ბოლქვი, ფონა, დონა, ქვემო ხეჩილი, ზემო ხეჩილი, სადაც ოსური ენა ჯერ კიდევ შემორჩენილია არა მხოლოდ უფროსი ასაკის მაცხოვრებლებში, არამედ ის არის საურთიერთობო ენა ახალგაზრდებს შორისაც. ამ კუთხით განსაკუთრებით აღსანიშნავია სოფლები არეშფერანი და ფონა. ორივე ამ სოფელში შენარჩუნებულია ასევე გვარების ოსური დაბოლოებები. ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ოსური ელემენტის ასე შენარჩუნებისა ამ სოფლებში არის საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული ადგილობრივ სკოლებში ოსური ენის სწავლების ტრადიციის არსებობა. ოსური ენა დღესაც ისწავლება ორივე სოფლის საჯარო სკოლაში, სადაც ოსური არის სავალდებულო ყველა კლასისათვის (ოთხი საათი კვირაში პირველი-მეოთხე კლასის მოსწავლეებისათვის და სამი საათი კვირაში მეხუთე-მეთერთმეტე კლასის მოსწავლეებისათვის).

ოსური ენის შემსწავლელი კლასების არსებობა ლაგოდეხის რაიონის ამ ორ სოფელში გამონაკლის შემთხვევას წარმოადგენს. ცხადია, რომ სპეციალური ღონისძიებების გატარების გარეშე, ახლო მომავალში ოსური ენის გამოყენების პრაქტიკა საქართველოში მცხოვრები ოსების დიდ უმრავლესობაში გაქრება. ბევრ ოსურ სოფელში ინტეგრაციის, თუ ასიმილაციის დონე ქართულ კულტურულ გარემოში იმდენად ღრმაა, რომ ოსური ენის შენარჩუნების საჭიროების მკაფიოდ გამოხატვა თავად ოსური თემის მხრიდანაც არ ხდება. შესაბამისად, შესაძლოა მთავრობამ აიღოს თავის თავზე პასუხისმგებლობა და ოსური კულტურული ტრადიციების

შენარჩუნებისათვის ღონისძიებების ინიცირება მოახდინოს, კერძოდ განათლებისა და ენის სფეროში.

## **მიგრაციული პროცესები ოსურ თემში და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის გავლენა ოსურ-ქართულ ურთიერთობებზე**

ოსების მასიური მიგრაცია საქართველოდან 1980-იანი წლების მიწურულიდან დაიწყო, რაც განპირობებული იყო ეთნიკური კონფლიქტით და საქართველოში იმ პერიოდში წარმოებული ნაციონალისტური პოლიტიკით. მთელი 1990-იანი წლების მანძილზე ოსების მიგრაცია საქართველოდან შეეხო პრაქტიკულად ყველა ოსურ სოფელს. კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ სოფლების მიხედვით მიგაცია 1990-იანი წლებიდან განიცადა მოსახლეობის 10-დან 50%-მდე,<sup>14</sup> გადასახლებულთა უმეტესობა კი ძირითადად ჩრდილოეთ ოსეთში სახლდებოდა. როგორც პირველი თავიდან დაეინახეთ ოსების მიგრაცია გაგრძელდა 2000-იან წლებშიც და მათი რაოდენობა 2002 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგებთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირებულია, თუმცა 1990-იანი წლებისაგან განსხავებით თანამედროვე ეტაპზე ოსების გადინების მიზეზი იძულება, ან რაიმე სახით ზემოქმედება არ ყოფილა. მთავარი მიზეზი მოსახლეობის გადინებისა, როგორც მათი დარჩენილი ნათესავები აცხადებენ არის მძიმე სოციალური პირობები და უმუშევრობა, რომლის დაღწევის ერთ-ერთი საშუალება კი ოსებისათვის ჩრდილოეთ ოსეთში გადასახლება გამოდგა. 2006 წლის სექტემბერში საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩაკეტვამდე აქტიურად მიმდინარეობდა ოსების სეზონური მიგრაცია ჩრდილოეთ ოსეთში, თუმცა საზღვრის ჩაკეტვის შემდეგ, ამ მიგრანტების უმეტესობამ არჩია ჩრდილოეთ ოსეთში დარჩენა. ძირითადად ოსები ამჯობინებენ ჩრდილოეთ ოსეთში დასახლებას იმის გამო, რომ საქართველოში მცხოვრებ თითქმის ყველა ოსს ჩრდილოეთ ოსეთში ჰყავს ნათესავები და მათთვის უფრო მოსახერხებელი და ადვილია ახალი ცხოვრების მოწყობა უკვე კარგად ნაცნობ გარემოში, ხოლო ვისაც ჩრდილოეთ ოსეთში ნათესავები<sup>15</sup> არა ჰყავს ცდილობენ ცხოვრების

<sup>14</sup> იხილეთ დანართი 1.

<sup>15</sup> სანათესაო ძირითადად გაჩნდა 1990-იან წლებში გადასახლების შედეგად.



გაუმჯობესებას და უკეთესი პირობების შექმნას საქართველოს სხვადასხვა დიდ ქალაქებში გადასახლებით. მსგავსი ტენდენცია შეიმჩნევა არა მარტო ოსურ მოსახლეობაში, არამედ ქართველებშიც, რომლებიც ანალოგიურად ოსებისა სოფლად არსებულ მძიმე პირობებს გაურბიან ქალაქში გადმოსახლებით. საველე კვლევის და მოსახლეობასთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ყველა სოფელში, რომელსაც კი ვესტუმრეთ მოსახლეობის საერთო რაოდენობა 2002 წლის აღწერის მონაცემებთან შედარებით დაახლოებით 10 პროცენტით ან მეტით შემცირებულია.<sup>16</sup> ეს კლება ეხება არა მხოლოდ ოსებს, არამედ ქართველებსაც.

დღესდღეობით საზოგადოების, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციების და დამკვირვებლების დიდი ინტერესის საგანს წარმოადგენს საქართველოში მცხოვრები ოსების შესაძლო გადინების, ან მათი დისკრიმინაციის საკითხი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ფაქტორიდან გამომდინარე. ინტერესს განაპირობებს ის ფაქტიც, რომ საომარი მოქმედებების დასრულებიდან მოყოლებული დღემდე მუდმივად ვრცელდება ურთიერთსაპირისპირო ინფორმაციები, ძირითადად რუსული წყაროებიდან საქართველოში ეთნიკურ ნიადაგზე ოსების შეზღუდვის, მათი შევიწროების, თუ იძულებით გასახლების შესახებ. საველე მუშაობის პროცესში ჩვენ საგანგებოდ ვამოწმებდით ასეთი სახის ინფორმაციას როგორც ოსურ, ასევე ქართულ მოსახლეობაში, თუმცა ვერც ერთი დადასტურებული ფაქტი მსგავსი სახის დონისძიებებისა ჩვენს მიერ ვერ იქნა გამოვლენილი. ევროკავშირის მონიტორინგის მისიაც, ანალოგიურად ვერ ადასტურებს მსგავს ფაქტებს, რაც ასახულია მათ მოხსენებაშიც.<sup>17</sup> ომის შემდგომ ოსების მიერ საქართველოს არც მასიურ დატოვებაზე შეიძლება საუბარი. შიდა ქართლის ოსური სოფლებიდან ჩვენ ვერც ერთი მსგავსი ფაქტი ვერ გამოვავლინეთ. უმნიშვნელო რაოდენობით, რამდენიმე ოჯახის წასვლის შესახებ გვითხრეს მხოლოდ კახეთში, სოფლებიდან წიწიკაანთსერი, არემფერანი, არგოხი, ფიჩხოვანი და ქორეთი. თუმცა წასვლის მიზეზად სახელდება არა იმდენად საომარი მოქმედებების

<sup>16</sup> იხილეთ დანართი 1.

<sup>17</sup> EUMM Thematic Report on Ethnic Ossetian Minorities in GEO TAT and Ethnic Georgian Minorities in SO/ABK, February 2009.

გაჩაღება, არამედ ომამდე მიღებული გადაწყვეტლება ჩრდილოეთ ოსეთში გადასახლების შესახებ. სოფელ არეშფერანში ჩვენ შეგვხვდა ასევე ორი ოჯახი, რომელთაც 2008 წლის ივლისის თვეში, ანუ ომის დაწყებამდე გაყიდეს საკუთარი სახლ-კარი და ემზადებოდნენ ვლადიკავკაზში გასამგზავრებლად, მაგრამ რუსეთ-საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტის და მიმოსვლის გართულების შედეგად იძულებული აღმოჩნდნენ დარჩენილიყვნენ და ღრობითი თავშესაფარი მოეძებნათ.

რაც შეეხება ომის ფაქტორის გავლენას ეთნოსთა შორის ურთიერთობებზე მნიშვნელოვანი ცვლილებები ამ კუთხითაც არ შეინიშნება. ყოფით დონეზე ქართულ-ოსური ურთიერთობები ისევე მშვიდობიანი და მეგობრულია, როგორც იყო. ორივე ეთნოსის წარმომადგენლების მხრიდან ერთნაირად ხდებოდა ომის აღქმა, როგორც აგრესორი რუსეთის მთავრობის მიერ დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაპყრობის და განადგურების მცდელობა. ერთადერთი, რაც მიდგომებში განსხვავებდა არის ოსური თემის შედარებით ზომიერი და ფრთხილი შეფასებები რუსეთთან ურთიერთობებთან დაკავშირებით. ოსებისათვის რუსეთი დღემდე წარმოადგენდა მიმოსვლის და ვაჭრობის და შესაბამისად ეკონომიკური შემოსავლის ერთ-ერთ მთავარ წყაროს, ამდენად ურთიერთობების გაფუჭება რუსეთთან ავტომატურად ნიშნავს მათთვის როგორც სარგებლის შემცირებას, ასევე ნათესავებთან და ახლობლებთან კომუნიკაციის და ურთიერთობების გაწყვეტას.

მიუხედავად იმისა, რომ ყოფით დონეზე ქართულ-ოსური ურთიერთობები ომის შემდგომაც მჭიდრო და მეგობრულია, ომის გავლენა მაინც თვალში საცემია ოსურ თემში გაჩენილი სიფრთხილის და შიშის გამო. გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა გაურკვევლობას გამოხატავს მომავალთან დაკავშირებით, 1990-იანი წლების დასაწყისის არასასიკეთო გამოცდილების გათვალისწინებით ოსური მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ეჭვის თვალთ უყურებს მომავალს და საომარი მოქმედებების განახლების შემთხვევაში არა აქვს საკუთარი უსაფრთხოების განცდის შეგრძნება. ეს მიზეზი კიდევ უფრო აძლიერებს მათში გადასახლების და

ჩრდილოეთ ოსეთში საკუთარ ნათესავებთან შეერთების სურვილს. აქედან გამომდინარე, სავარაუდოდ ოსების მიგრაციის ტენდენცია კიდევ უფრო გაიზრდება რუსეთთან საზღვრის გახსნის და მიმოსვლის გამარტივების შემთხვევაში.

## **უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის (ECMI) ქმედება**

უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის პროექტები საქართველოში ზოგადად მიმართულია ეროვნულ უმცირესობათა სოზაგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობისათვის. 2004 წლიდან მას შემდეგ რაც ცენტრმა სრულფასოვანი საქმიანობა წამოიწყო საქართველოში პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენდა ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ინტეგრაციის ხელშეწყობა, კერძოდ სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი, რისთვისაც ორივე რეგიონში ჩამოყალიბდა ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის გამაერთიანებელი საზოგადოებრივი ფორუმები, სამცხე-ჯავახეთში ჯავახეთის სამოქალაქო ფორუმის, ხოლო ქვემო ქართლში წალკის სამოქალაქო ფორუმის სახით. ორივე ეს სტრუქტურა დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა, როგორც ცენტრსა და რეგიონს შორის დამაკავშირებელი ხიდი, ადგილობრივი პრობლემატიკის ცენტრალურ ხელისუფლებაში მიტანის და განხილვის ერთ-ერთი ეფექტური საშუალება. ასეთი პრაქტიკის წარმატებამ ECMI-ს უბიძგა ანალოგიური პრაქტიკის დანერგვისაკენ სხვა რეგიონებშიც, მათ შორის ეროვნული უმცირესობებით შედარებით ნაკლებად დასახლებულ რეგიონებში, რომლებსაც სამოქალაქო ინტეგრაციის განვითარების კუთხით ნაკლები ყურადღება ექცევა ასევე მთავრობის მხრიდანაც. ოსური თემი, როგორც წინა თავებიდან ჩანს საკმაოდ დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი შიდა ქართლის და კახეთის რეგიონში, შესაბამისად ECMI 2010 წლიდან გეგმავს ორივე ამ რეგიონში ეროვნულ უმცირესობათა ქსელის/საბჭოს ხელშეწყობას, რომელშიც გარდა ოსებისა მონაწილეობას მიიღებენ რეგიონში მაცხოვრებელი სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებიც. საბჭოში ჩართულობა და მის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობის მიღება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სწორედ ოსური თემისთვის არის, რადგან

აღნიშნულ რეგიონებში მათი რაოდენობის მიუხედავად სამოქალაქო პროცესებში მონაწილეობის დონე უკიდურესად დაბალია, არ არსებობს ასევე ოსური საზოგადოებრივი გაერთიანებები, რომლებიც საკუთარი კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე იმუშავებდნენ. კვლევის პროცესში ოსურ თემთან შეხვედრების დროს ჩვენს მიერ საბჭოების შექმნის საკითხიც იქნა წამოწეული, რამაც მათში დიდი დაინტერესება და მოწონება დამოიწვია. აღნიშნული ინიციატივა სრულ თანხვედრაში მოდის საქართველოს მთავრობის მიერ 2009 წლის მაისში დამტკიცებულ ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციის კონცეფციასა და სამოქმედო გეგმასთან, რომლის მიხედვითაც საქართველოს ექვს რეგიონში (სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, კახეთი, შიდა ქართლი, იმერეთი, აჭარა) უნდა ჩამოყალიბდეს ეროვნულ უმცირესობათა საბჭოები. ECMI აქტიურად აპირებს ითანამშრომლებს საქართველოს მთავრობასთან საბჭოების ფორმირების და მათი განვითარების საკითხში.

## დასკვნა

